განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

"საზოგადოებრივი გეოგრაფია"

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

11,12,13 ნოემბერი 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
7 დეკემბერი 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**საზოგადოებრივი გეოგრაფია**
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**სოციოლოგია და კულტურის კვლევები - 0314**
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	30 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 26.07.2012; გადაწყვეტილება №279.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია დოღონაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შორენა წიკლაური, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვლადიმერ ბერაია, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ ითვალისწინებს აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს და მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გათვალისწინებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებას. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის.

პროგრამა შეიქმნა 2005 წელს. ბოლო აკრედიტაცია გაიარა 2012 წლის 26 ივლისს (გადაწყვეტილება №279).

პროგრამა შედგება სასწავლო (30 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტებისგან. განახლებული მინიმალური სტანდარტის შესაბამისად, პროგრამას დაემატა ახალი სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში – ემპირიული კვლევის მეთოდები“. კვლევითი კომპონენტი კი მოიცავს 3 სამეცნიერო-კვლევით პროექტს და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას.

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, მკაფიოდ განსაზღვრული და რეალისტური მიზანი და ამოცანები, რომლებიც თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. პროგრამა ითვალისწინებს შრომითი ბაზრის, დამსაქმებლის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 1 ნოემბრის

ბრძანების №1169547 შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: ნოდარ ფოფორაძე (თავმჯდომარე), თათია დოღონაძე (წევრი), შორენა წიკლაური (წევრი), ირმა ქურდაძე (წევრი), ვლადიმერ ბერაია (წევრი) შეისწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამასთან, „საზოგადოებრივი გეოგრაფია“, დაკავშირებული დოკუმენტაცია, 12 და 13 ნოემბერს განახორციელა ონლაინ ვიზიტი ZOOM ინტერფეისის გამოყენებით, კითხვა-პასუხის რეჟიმში დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ხოლო 11 ნოემბერს ვიზიტი განხორციელდა ადგილზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ბიბლიოთეკის დათვალიერების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტი გაიმართა მშვიდ, ორმხრივი ურთიერთპატივისცემის და თანამშრომლობის პირობებში. გასაუბრებები და სხვა აქტივობები განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. შეხვედრის დროს განხილულ იქნა სადოქტორო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი განხორციელების გზები, სწავლის შედეგები, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანაფარდობა, შეფასების კრიტერიუმები, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელების გზები, განვითარების პერსპექტივები, სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები, სწავლის ხარისხის და შედეგების კონტროლის მექანიზმები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანობაში შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან, სტრატეგიულ გეგმასა და მისიასთან. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები.

უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ კატალოგის სერვისი. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე: პროგრამის სასწავლო კურსებისათვის საჭირო ძირითადი სახელმძღვანელოები სრულად განთავსებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში. სასწავლო კურსებისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, დოქტორანტურის პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, საჯარო რეესტრს, ტურიზმის სექტორს და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში აკადემიური პერსონალი და სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა ტრეინინგსა და პრაქტიკულ ღონისძიებაში.

პროგრამა მოიცავს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდსა და შესაბამის აქტივობებს: ვერბალური; წერითი მუშაობის; დემონსტრირების; პრაქტიკული; შემთხვევის ანალიზი; ჯგუფური მუშაობის; თანამშრომლობითი სწავლება; ინდუქციური; დედუქციური; ელექტრონული სწავლება (e-learning).

პროგრამას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკიციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. დოქტორანტურის პროგრამას ემსახურება 21 აკადემიური პერსონალი (მათ შორის 10 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი) 3 მოწვეული პედაგოგი.

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რასაც ემატება სტაბილური, პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო ბიუჯეტი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისად:

სტანდარტი 1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.1.- შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.2. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.3. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.4. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.5. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.6. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია, უფრო მეტი სასწავლო კურსის გატარება დოქტორნტებისთვის შესაბამისი სპეციალობით;
  - სასურველია, სილაბუსების შინაარსისა და ლიტერატურის გადახედვა საფეხურების მიხედვით გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით;
  - სასურველია, გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტის დაფინანსების წილი, რათა პრაქტიკები კიდევ უფრო მაღალეფექტურობით განხორციელდეს და გაიზარდოს მისი მასშტაბებიც;

- სასურველია, დამსაქმებლების რჩევების მეტად გათვალისწინება პროგრამის ფუნქციონირებაში;
- სასურველია, დოქტორანტებს ჰყავდეთ თანახელმძღვანელი შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალიდან;
- სასურველია, ამაღლდეს სტუდენტების ცნობიერება არსებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების არსებობასთან დაკავშირებით. სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზებზე მეტი ინფორმაციის მიწოდება;
- სასურველია, პროგრამას გარე შემფასებლად ქართველ შემფასებელთან ერთად ყავდეს ასევე უცხოელი ექსპერტი, მით უფრო რომ უსდ-ს გააჩნია საინტერესო კონტაქტები და ურთიერთოებები ევროპის და აშშ-ს უნივერსიტეტებთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - სტუდენტების შიდა ხარისხობრივ და შეფასებით პროცესებში ჩართულობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი მექანიზმია „სტუდენტის საათი“, სადაც ადმინისტრაცია სტუდენტებტან ერთად განიხილავს უნივერსიტეტის შიდა შეფასებით მექანიზმებს.
  - ინსტიტუციური განვითარების კვლევითი საგრანტო პროგრამების არსებობა, რომლის პრიორიტეტებად განსაზღვრულია კვლევა,
  - ადმინისტრაციის მხრიდან პროფესორ-მასწავლებლებისათვის კვლევის ხელშეწყობის მიზნით მაღალ სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების დაბეჭდვის წახალისება და ფულადი ჯილდოს გაცემა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების სესიების შედეგებით დასტურდება, რომ საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიას, აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, პრაქტიკული, ინოვაციური და ამასთან მიღწევადი მიზნები, რომლებიც ასახავს, თუ რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. სადოქტორო პროგრამის მიზანია: ✓ მოამზადოს მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო აკადემიურ და კვლევით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ხელეწიფება პრაქტიკულ სფეროში დამოუკიდებელი მუშაობა და კოლექტიური საქმიანობის წარმართვა; ✓ წვლილი შეიტანოს გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებასა და მომავალი თაობის სპეციალისტთა აღზრდაში; ✓ შექმნას და გავრცელოს ახალი ცოდნა და დანერგოს როგორც დარგობრივ კვლევებში, ისე სწავლა-სწავლების პროცესში და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროების განვითარებაში; ✓ კურსდამთავრებულმა შეძლოს საქმიანობის წარმატებით წარმართვა სახელმწიფო დაწესებულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, არასამთავრობო სტრუქტურებში და კერძო სექტორში, რომლებიც სივრცითი/გარემოს დაგეგმვისა და ანალიზის სფეროში მოქმედებენ; ✓ მოამზადოს კურსდამთავრებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, შესძინოს მას უნარ-ჩვევები, რათა შეძლოს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის აღწერილობა და პროგრამის სილაბუსები **(დანართი 1);** • უნივერსიტეტის მისია (https://www.tsu.ge/ka/page/უნივერსიტეტის-შესახებ); • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024) (https://www.tsu.ge/assets/media/files/1/უნივერსიტეტის%20სტრატეგიული%20განვითარების%20გეგმა.pdf); • ექსპერტთა ჯგუფის წევრების გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან;

- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი **(დანართი 18).**

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული 10 სწავლის შედეგი. პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის დასახულ მიზნებს. იგი მოიცავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას,

რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია არსებული რეგულაციების შესაბამისად.

როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, პროგრამის შემუშავების პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართულები, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. მათი ურთიერთთანამშრომლობით განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგები და მათ აქვთ კარგად გააზრებული ერთიანი ხედვა. სწავლის შედეგები ეფუძნება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ შრომის ბაზრისა და დამსაქმებლებთა მოთხოვნების კვლევას, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი სფეროს დამსაქმებლების ინტერესებს.

პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში ნათლად ჩანს, რომელი სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსი.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის შედეგებია:

ცოდნა და გაცნობიერება:

- ✓ კრიტიკულად და სიღმისეულად იაზრებს თანამედროვე გეოგრაფიულ კონცეფციებსა და პარადიგმებს, რაც ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;
- ✓ კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების რთულ სივრცით-დროით ასპექტებს;
- ✓ განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენების მიზანშეწონილობას კონკრეტული მიზნის მისაღწევად და ამოცანების გადასაწყვეტად.

უნარები:

- ✓ ხსნის და ასწავლის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული თეორიების, კონცეფციების, პროცესებისა და მოვლენების ძირითად მახასიათებლებს და სწავლების სხვადასხვა საფეხურზე წარმართავს სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებს;
- ✓ თავისუფლად ურთიერთობს, წარმართავს დისკუსიებს, ახდენს პრობლემური თემების მიუკერძოებელ და კრიტიკულ ანალიზს ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებასთან გეოგრაფიის თემატურ საკითხებზე როგორც მშობლიურ, ისე უცხოურ ენაზე;
- ✓ დამოუკიდებლად გეგმავს კვლევას და ყველა სტანდარტის დაცვით მაღალპროფესიონალურ დონეზე წარმართავს სამეცნიერო საქმიანობას;
- ✓ ქმნის სივრცითი/გარემოს დაგეგმვისა და სფეროსთან დაკავშირებულ სხვა თემატურ პროექტებსა თუ შეთავაზებებს და შეიმუშავებს ზოგად-სამეცნიერო რეკომენდაციებსა და დასკვნებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- ✓ იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს (პროფესიული ეთიკა, კულტურული ტოლერანტობა, თანამშრობლობა, სამართლიანობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა) და ხელს უწყობს დარგში პროფესიული ღირებულებების (სანდოობა, პატიოსნება, რელევანტური კანონებისა და მიღებული სტანდარტების დაცვა) დამკვიდრებასა და განმტკიცებას დამოუკიდებლად დაგეგმილი პროექტის განხორციელების პროცესში;
- ✓ ავლენს ინოვაციურობასა და პასუხისმგებლობას სამეცნიერო ნაშრომის დამოუკიდებლად მომზადების პროცესში;
- ✓ უძღვება საკუთარ და სხვათა პროფესიულ განვითარებას და ამ მიზნით ხელმძღვანელობს დარგობრივ გუნდს ინტერდისციპლინურ/ ინტერკულტურულ გარემოში.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის – აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით და შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სწავლის შედეგები შეესაბამება დასაქმების სფეროების ან აკადემიური კარიერის გაგრძელებისთვის არსებულ მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული

საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სწავლის შედეგებისადმი გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა **(დანართი 1);** • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა **(დანართი 9)**; • დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმი **(დანართი 2)**; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი **(დანართი 10)**; • ექსპერტთა ჯგუფის წევრების გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების პირობები ადეკვატურია სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის: ✓ მაგისტრის ხარისხის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ფლობა საზოგადოებრივ გეოგრაფიაში ან სხვა სპეციალობაში; ✓ უცხოური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე, ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით; ✓ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; ✓ სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარმოდგენა; ✓ გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო კვლევითი პროექტის – პროსპექტურის შესახებ). პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო - ინფორმაცია განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ფორმულირებულია მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1);**; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (tsu.ge).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სადოქტორო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. **სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს** (ECTS) და გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 25 კრედიტი:

- ✓ კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები- 5 კრედიტი
- ✓ დარგობრივი სემინარი - 15 კრედიტი
- ✓ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კომპონენტები - 5 კრედიტი:

- ✓ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი
- ✓ არჩევითი სასწავლო კურსი ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსი - 5 კრედიტი

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1
- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2
- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3
- ✓ სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1, 2 და 3 მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას მოიცავს და წარმოადგენს დაცვის წინაპირობას, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება.

სადოქტორო პროგრამაზე სწავლება მინიმუმ ექვსი სემესტრია (3 წელი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;
- დადგენილება №245/2018 - დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ, დადგენილება №245/2018, 27 დეკემბერი, 2018 **(დანართი 15)**;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1)**;
- სასწავლო კურსების სილაბუსები **(დანართი 8)**;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი **(დანართი 8)**;
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები **(დანართი 2)**;
- სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობები **(დანართი 2)**;.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შეფასებისას გაანალიზებული იქნა წარმოდგენილი სილაბუსების ტექნიკური და შინაარსობრი მხარე. პროგრამას სავალდებულო დარგობრივი სასწავლო კურსები არ აქვს და საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სასწავლო კურსებს ეფუძნება, რომლის სილაბუსებშიც მკაფიოდ არის ფორმულირებული სასწავლო კურსის მიზნები. კრედიტები ადეკვატურად ასახავს დოქტორანტის დატვირთვას. სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის მიზნებს და სწავლის შედეგებს. შეფასება სრულ შესაბამისობაშია დადგენილ წესთან. სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა თანამედროვეა და შეესაბამება კურსის მიზნებს. სწავლის შედეგები მოკლედ, მკაფიოდ და გასაგებადაა ჩამოყალიბებული. საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის ძირითადი მიზნები და სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი – სწავლის/სწავლების მეთოდებთან და შეფასების მეთოდებთან. თუმცა სასურველია უფრო მეტი სასწავლო კურსის გატარება დოქტორნტებისთვის შესაბამისი სპეციალობით. სწავლისა და კვლევის პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტში საერთაშორისო კონსორციუმის ფარგლებში მოქმედი პროექტის INTEGRITY-ის (რომლის მონაწილეა ასევე საქართველოს სხვა 11 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) თანახმად მუშაობს ტექსტის ამომცნობი ელექტრონული პროგრამა Turnitin. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაწყებულია მთელი რიგი სასწავლო კურსების ჩართვა აკადემიური კეთილსინდისიერების ელექტრონულ პროგრამაში Turnitin, რაც ემსახურება პლაგიატის პრევენციას. სასწავლო კურსების სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები (ბაკალავრიატი), სოციალური კვლევის მეთოდები (მაგისტრატურა) და კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები (დოქტორანტურა) სილაბუსების შინაარსისა და

ლიტერატურის გადახედვა საფეხურების მიხედვით გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით. როგორც კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, მათი სურვილია სასწავლო კომპონენტში სწავლის ძირითადი სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების დამატება შესაბამისის სპეციალობით.

შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია არსებულ რეგულაციებთან. სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა თანამედროვეა და შეესაბამება კურსის მიზნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის აღწერა **(დანართი 1)**;
- სადოქტორო პროგრამის სილაბუსები **(დანართი 1)**;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა **(დანართი 9)**;
- აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 მაისის №37 დადგენილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი: https://www.tsu.ge/ka/legalakad/15638 .

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უფრო მეტი სასწავლო კურსის გატარება დოქტორანტებისთვის შესაბამისი სპეციალობით;
- სილაბუსების შინაარსისა და ლიტერატურის გადახედვა საფეხურების მიხედვით გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით .

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების

განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ მთლიანად ორიენტირებულია დოქტორანტებს გამოუმუშავოს სამეცნიერო-კვლევითი შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის სადოქტორო პროგრამა სწავლების საწყის ეტაპზე ითვალისწინებს კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლას. კვლევითი უნარებისა და მეცნიერული ხედვის განვითარებისთვის პროგრამა ითვალისწინებს დარგობრივ ორ სემინარს. დოქტორანტი არჩევს სამეცნიერო ნაშრომებს და ეცნობა დარგისთვის ტიპობრივი კვლევის თავისებურებებს, სამეცნიერო ნაშრომის დაწერის ტექნიკას. სამეცნიერო ნაშრომების წარმოდგენას აუდიტორიის წინაშე, კამათისა და დასაბუთების ტექნიკას. სამეცნიერო და კვლევითი უნარების განსავითარებლად პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევით პროექტებს. სამეცნიერო პროექტები დოქტორანტს უმუშავებს კვლევის დაგეგმვისა და ფართო საზოგადოებასთან საკუთარი იდეების წარდგენის უნარს. პედაგოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში შედის პროფესორის ასისტენტობა. თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროგრამის სწავლის შედეგებისა და სწავლების საფეხურის შესაბამისად, ჩართულია სხვადასხვა კონფერენციის მოწყობაში, ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობას იღებს ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში. პროგრამაში ჩართული დოქტორანტები მონაწილეობენ საფაკულტეტო კონფერენციებში; პროგრამაში ჩართული დოქტორანტები მონაწილეობენ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, რაც ამყარებს შესაბამის ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის ტრადიცია. სტუდენტურ ინიციატივას, მათ პროექტებს აფასებს საუნივერსიტეტოს კომისია, რომლის შემადგენლობაშია სხვადასხვა ფაკულტეტების, დეპარტამენტების წარმომადგენლები, სტუდაქიტივი და ინოვაციის დანერგვის ცენტრის წარმომადგენლები. კომისიის მიერ გამჭვირვალედ განიხილება ყველა პროექტი, თუ საპროექტო განაცხადი. კომისია აფასებს ნაშრომს, რომლის შედეგებს წარუდგენს ავტორს. გამარჯვებული პროექტი ფინანსდება საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (**დანართი 15**): https://bit.ly/38m7iI9 ; • სადოქტორო პროგრამის აღწერა (**დანართი 1**); • საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესი: https://bit.ly/3lXmwv3 ; • დოქტორანტების პუბლიკაციები და აქტივობები (**დანართი 7**).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თითოეული საგნის ლექტორს გააჩნია აკადემიური თავისუფლება, რათა თავად განსაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მეთოდები და აქტივობები. თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლისის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარს, ასევე, სწავლა-სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს მოცემული მეთოდებიდან ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლე-ბის მრავალფეროვანი მეთოდები:

ვერბალური – ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას,

ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წიგნზე მუშაობის მეთოდი – საკვლევ სფეროში არსებული უახლესი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავება, შემოქმედებითად გააზრება და მის საფუძველზე საკუთარი კვლევისთვის თეორიული ჰიპოთეზების შემუშავება.

წერითი მუშაობის მეთოდი – კვლევის მონაცემების წარდგენა სხვადასხვა ჟანრის აკადემიური ნაშრომის სახით (არგუმენტირებული ესსე, ანალიტიკური რეფერატი, რეცენზია და სხვ.); კვლევითი სემინარის და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წერითი ფორმით წარდგენა (ზეპირ პრეზენტაციასთან ერთად).

პრაქტიკული მეთოდები – ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა და მისთვის ადეკვატური კვლევის მეთოდების შერჩევა-გამოყენება, აგრეთვე მათი ორიგინალური სინთეზი (ინტედისციპლინურობის და მულტიმეთოდურობის პრინციპების გათვალისწინებით).

დისკუსია-დებატები – მომიჯნავე სფეროებით დაინტერესებულ დოქტორანტებთან დისკუსიების წარმართვა; სწავლების ქვედა საფეხურზე მყოფი სტუდენტების დისკუსიებში ჩართვა და მათი მოდერაცია (პროფესორის ასისტენტობისას); კვლევის პროცესში ჯგუფური ინტერვიუს დამოუკიდებლად ჩატარება; დარგის სპეციალისტებთან დისკუსია-დებატების წარმართვა, საკუთარი არგუმენტების ნათლად ფორმულირების და დამაჯერებელი მხარდაჭერით გამყარების, აგრეთვე ოპონენტის არგუმენტების დასაბუთებულად უკუგდების საფუძველზე.

ჯგუფური მუშაობა – გუნდური მუშაობის პრაქტიკა კვლევით პროექტებში მონაწილეობის, აგრეთვე სწავლების ქვედა საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის მცირემასშტაბიანი კვლევითი პროექტების დაგეგმვის და ხელმძღვანელობის გზით.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – საკვლევი პრობლემის სწორად დასმა და მის გადასაჭრელად ადეკვატური საკვლევი ინსტრუმენტების შერჩევა; პრობლემის გადაჭრის არსებული გზების ინოვაციური ხედვით გამდიდრება.

შემთხვევის ანალიზი (Case Study) – საკვლევ საკითხთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების და რეგიონების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების შედარებითი ანალიზი, საკუთარი რეგიონის და საზოგადოების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების ანალიზი, საკუთარი შემთხვევის ინტერპრეტაცია და კრიტიკული შეფასება სხვა შემთხვევების კონტექსტში.

ელექტრონული სწავლება[3] (e-learning) – ელექტრონული სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის სწავლის მართვის სისტემის გამოყენებით წარმართვას. სწავლის მართვის სისტემა არის ინტერნეტზე დამყარებული კომპიუტერული პროგრამა. ელექტრონული სწავლება ხორციელდება ასინქრონული ან/და სინქრონული კომუნიკაციის ფორმით. ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას, ხოლო სინქრონული – როდესაც მათი კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება. ელექტორნული სწავლებისას გამოიყენება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა LMS და სასწავლო პლატფორმები Moodle, Zoom.

კოვიდ-პანდემიასთან დაკავშირებით ფაკულტეტზე შემუშავებულია ელექტრონული სწავლების კონცეფცია, რომელიც დამტკიცებულია ფაკუტელტეტის საბჭოზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი: https://bit.ly/3pbyqjS ;
- სადოქტორო პროგრამის აღწერა და სილაბუსები **(დანართი 1)**.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სილაბუსებში მოცემულია შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, შესაბამისი საგნის სპეციფიკის და განსაზღვრული სწავლის შედეგების გათვალისწინებით. აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო, ღია, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის. ასევე, დოქტორანტს წინასწარ მიეწოდება და საჯაროა სემინარებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესაფასებლად შემუშავებული კრიტერიუმები. სადოქტორო დისერტაციის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურები დეტალურადაა მოცემული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში. პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სტუდენტი ფასდება ECTS სისტემით (კრედიტის

მინიჭების საფუძველზე). დოქტორანტის სასწავლო კომპონენტები ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F – 0 ქულა.

პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება ხორციელდება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებითა და თსუ დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტით განსაზღვრული წესების მიხედვით, კერძოდ:

დისერტაციის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:
ა) "summa cum laude" – "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;
ბ) "magna cum laude" – "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;
გ) "cum laude – "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;
დ) "bene" – "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;
ე) "rite" – 'დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ

მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა; **ვ)** "insufficienter" – "არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა; **ზ)** "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად. დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა მინიმუმ 2 სამეცნიერო პუბლიკაცია, ასევე, 3 სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულება და ზეპირი პრეზენტაცია. ✓ **„ა"-„ე"** ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი; ✓ **მე-2 პუნქტის „ვ"** ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი; ✓ **„ზ"** ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №245/2018 დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ **(დანართი 15)**; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება: https://bit.ly/38m7iI9 ; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №8 **(დანართი 15)**: https://bit.ly/34GvdAk ; • აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის დადგენილება №116/2018 სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ **(დანართი 15)**; • სასწავლო კურსების სილაბუსები **(დანართი 1)**; • საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა **(დანართი 1)**.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში გაწეული პერმანენტული სერვისის სახე აქვს საკონსულტაციო შეხვედრებს, რომელთა შესახებ სტუდენტებს აქვთ წინასწარ განსაზღვრული ინფორმაცია, აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში გამოყოფილი საათები კი გათვალისწინებულია პერსონალის დატვირთვაში. გარდა ამისა, გამოირკვა, რომ პერსონალსა და სტუდენტებს შორის საჭიროების შემთხვევაში და მის მიხედვით მუდმივად ხორციელდება კონსულტირებები. სტუდენტებისგან იკვეთება, რომ მუდმივად აქვთ უკუკავშირი აკადემიურ პერსონალთან, ისინი არიან საკმაოდ ღია მათ მიმართ. აღსანიშნავია, რომ როგორც გეგმიური ასევე დაუგეგმავი (საჭიროებისმიერ) ჩანიშნული საკონსულტაციო შეხვედრების/გასაუბრებების თემა და

ასპექტები ძირითადად უკავშირდება კონფერენციებსა თუ პროექტებში მონაწილეობას, აკადემიური სპეციფიკის სხვადასხვა საკითხების უკეთ გააზრებას, სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რასაც ცალსახად აქვს კიდეც თავისი პრაქტიკული შედეგი, რამეთუ სტუდენტები ადასტურებენ, რომ მათ აქვთ კონფერენციებში, პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა და თავად ეს პროექტები საკმაოდ მრავალფეროვანი ხასიათისაცაა. გამოიკვეთა, რომ ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ სტუდენტური აქტივობების გააქტიურებაა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ტიპის პროექტებსა თუ კონფერენციებში. ფაკულტეტი ასევე ყურადღებას მიმართავს პრაქტიკული საქმიანობის მიმართ. სტუდენტებიც პოზიტიურად აფასებენ საველე პრაქტიკებს და ზოგადად პრაქტიკულ კომპონენტს. ფაკულტეტს აქვს საველე პრაქტიკები სტუდენტებისთვის აჭარასა და თბილისში. მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ აღნიშული ფინანსდება უნივერსიტეტის მხრიდან. (თუმცა აქვე აღნიშვნას საჭიროებს ის, რომ აღნიშნული დაფინანსება საჭიროებს გაზრდას, რათა პრაქტიკული წილი კიდევ უფრო მაღალეფექტურობით განხორციელდეს და გაიზარდოს მისი მასშტაბებიც) სტუდენტთა მიმართ მსგავსი მხადაჭერის გამოცხადება ამრავალფეროვნებს სტუდენტის პრაქტიკულ უნარებს, ავლენს მათ მეტად პროსამეცნიერო, აკადემიურ პოტენციალს და რა თქმა უნდა, ეხმარება რელევანტურ პოზიციაზე დასაქმებაშიც. სტუდენტური სერვისების კუთხით მუშაობს აგრეთვე კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრი, რომელშიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ინფორმაციით 3 პერსონაა დასაქმებული, თუმცა ამას გარდა მათ ჰყავთ თითო წარმომადგენელი ფაკულტეტზე. ერთიანად კი ეს სისტემა უზრუნველყოფს დასქმების ფორუმების ორგანიზებას, შეხვედრების ჩატარებას და დამსაქმებლებთან ურთიერთობას. პერიოდულად - ვაკანსიების მიწოდებას სტუდენტებისთვის. დასაქმების ფორუმები ტარდება ყოველსემესტრულად. პანდემიურ სიტუაციამდე კი ამ ყველაფერს ჰქონდა არადისტანციური ხასიათი.

სტუდენტური სასწავლო პრაქტიკის და სტაჟირების კუთხით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, ქალაქ თბილისის მერიასთან, ურთიერთგაგების მემორანდუმი - ა(ა)იპ - საერთაშორისო ასოციაცია კვიტას გეორგიკასთან.

სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების განვითარების ხელშეწყობის, ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის და პრაქტიკის კომპონენტის განვითარების კუთხით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული ა(ა)იპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრთან, შპს „სოციალშარკთან“, ა(ა)იპ - თბილისის ფსიქოთერაპიის ინსტიტუტთან, ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრთან

უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული შემდეგ საერთაშორისო უსდ-ებთან:

- Maria Curie-Sklodowska University
- University of Helsinki
- The University of Paris 8
- The University of Warsaw
- ისტუს-ლიბიგის სახელობის უნივერსიტეტი (გერმანია)
- Tallinn University

უნივერსიტეტი აქტიურ კოლაბორაციაშია 50 ქვეყნის 202 უსდ-სთან

თანამედროვე სივრცეში განსაკუთრებით კი პანდემიური დღის წესრიგით საკვანძოდ მნიშვნელოვანია გამართული ელექტრონული სისტემების არსებობა. სტუდენტების ძალიან დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი მარტივად და ეფექტურად ადაპტირდა პანდემიის პირობებზე და ონლაინ სივრცეზე. მათ ძალიან მოსწონთ lms და e-learning სისტემები. მატერიალური ბაზის დათვალიერებისასაც კარგად გამოჩნდა, რომ დისტანციური სერვისები საკმაოდ პრაქტიკული და ინფორმაციულია. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სასწავლო მასალები

ელექტორნულად კვირების მიხედვით ნახონ და აითვისონ. აგრეთვე გამოჩნდა, რომ ელექტრონიზირებულია უკუკავშირის სისტემაც და ნაშრომებზე ლექტორების კომენტარების დეტალური ასახვა ხორციელდება. აღნიშნული სისტემები ასევე ამარტივებს დოკუმენტთწარმოების პრაქტიკასაც და სტუდენტებს საკმაოდ იოლად შეუძლიათ საჭირო ცნობების მიღება.

ინფორმაციულად დატვირთულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://www.tsu.ge) ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაციები საჭირო სტუდენტურ სერვისებთან მიმართებით.

საუნივერსიტეტო მხარდაჭერითი ღონისძიებების კუთხით ასევე იკვეთება საერთო საცხოვრებელი. ინტერვიუს ფარგლებში გავესაუბრეთ სტუდენტს, რომელიც უშალოდ სარგებლობს ამ სერვისით და მან გამოხატა კმაყოფილება, რამეთუ მისი აღნიშვნვით, თსუ-ს საერთო საცხოვრებელი მინიმალურ ფასად უზრუნველყოფს საკმაოდ კარგ პირობებს.

იკვეთება, რომ უნივერსიტეტი ასევე მხარს უჭერს სპორტულ ცხოვრებას. ჰყავთ კონკრეტული სპორტული გუნდები. აგრეთვე, არსებობს თვითმმართველობა, რომელიც კომიტეტური სისტემიტაა დაყოფილი. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ თვითმმართველობის არჩევნებშიც.

წახალისების ერთ-ერთი მექანიზმია სტიპენდია. სტიპენდიის მოპოვებისთვის არსებობს შემდეგი კომპონენტები შემდეგი პროცენტული განაწილებით:

80% - ქულები. 10% - სტუდენტური კონკურსები 10% - სტატიები

უნივერსიტეტის სტუდენტებს წვდომა აქვთ საბიბლიოთეკო ბაზებთან.

უნივერსიტეტში ასევე ყურადღება ექცევა ინტერნაციონალიზაციას და იგი იკვეთება სტუდენტური მხარდამჭერითი ღონისზიებების კუთხითაც. კერძოდ, მოქმედებს საერთაშორისო მობილობის პროგრამა (erasmus+). პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ინგლისურის მინიმუმ B2 დონე. აგრეთვე, იქმნება შიდა კომისია, რომელიც ახორციელებს შერჩევის პროცესს. სტუდენტებს საკონსულტაციო საათების პირობებში აქვთ საშუალება ასევე მიიღონ დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ. მნიშვნელოვანი იყო გაცვლითი პროგრამის გამოცდილება პანდემიის პერიოდში. კონკრეტული სტუდენტის გამოცდილებით, მისი მობილობის პერიოდი ზუსტად პანდემიის პირველ ტალღას დაემთხვა, ამ რთული ვითარების პერიოდში კი უნივერსიტეტმა მაქსიმალური მხარდაჭერა გაუწია ამ სტუდენტს მისი საბოლოოდ ტრანსპორტირების ეტაპამდე.

პოზიტიურად შეფასების ღირსია არსებული აპელაციის მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ მოქმედებს ქულათა აპელციის ორდონიანი მექანიზმი. პირველი ეტაპია აპელაცია კონკრეტული საგნის ლექტორთან, ხოლო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში - სააპელაციო კომიტეტთან. კომიტეტში არ შედის ის ლექტორი, რომელმაც განახორციელა თავდაპირველი შეფასება. აღნიშნული ზრდის შეფასების გამჭვირვალობის და სანდოობის მომენტს.

მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის სამსახური ზრუნავს სტუდენტთა უკუკავშირის მექანიზმსა და მათ აქტიურ ჩართულობაზე ხარისხის მართვაში. კერძოდ, უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა გამოკითხვა კმაყოფილების კვლევის სახით lms პლატფორმაზე. ხარისხის სამსახურის ინფორმაციით, უკუკავშირის კვლევა მოიცავს ძირითადად სტუდენტების 10%-ს. აღნიშნული რიცხვი ოდნავ დაბალი მაჩვენებელია, თუმცა ადმინისტრაციამ ეს განმარტა იმით, რომ სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებელი ასეთ კვლევებში იყო საკმაოდ დაბალი და სტუდენტთა დიდი ნაწილი უკმაყოფილებასაც კი გამოთქვამდა ამ კვლევების შესაძლო სავალდებულოობასთან მიმართებით, შესაბამისად ადმინისტრაციამ გაითვალისწინა სტუდენტების აზრი და კვლევა დავიდა 10%-იან მოცვის ნიშნულზე.

სტუდენტების შიდა ხარისხობრივ და შეფასებით პროცესებში ჩართულობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი მექანიზმია „სტუდენტის საათი“, სადაც ადმინისტრაცია სტუდენტებტან ერთად განიხილავს უნივერსიტეტის შიდა შეფასებით მომენტებს და მექანიზმებს. აღსანიშნავია გახლავთ ისიც, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს შოტლანდიურ ორგანიზაცია „სპარქსთან“, რომელიც ატრენინგებს სტუდენტებს ხარისხის მართვაში ჩართულობის კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში **(დანართი 19);**
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუ;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა /დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის ფორმები, გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენება **(დანართი 17.2);**
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან **(დანართი 11);**
- უსდ-ს ვებ-გვერდი https://www.tsu.ge.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტის დაფინანსების წილი, რათა პრაქტიკები კიდევ უფრო მაღალეფექტურობით განხორციელდეს და გაიზარდოს მისი მასშტაბებიც.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სტუდენტების შიდა ხარისხობრივ და შეფასებით პროცესებში ჩართულობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი მექანიზმია „სტუდენტის საათი“, სადაც ადმინისტრაცია სტუდენტებტან ერთად განიხილავს უნივერსიტეტის შიდა შეფასებით მექანიზმებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტებს ნაშრომზე მუშაობისას ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს რელევანტური სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დოქტორანტებთან კონსულტაციის საათები, რაც ასახულია აკადემიური პერსონალის დატვირთვაში. სტუდენტებს აქვთ სრული შესაძლებლობა თავად აირჩიონ ხელმძღვანელი სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას და მათთვის ცნობილია ყველა ის წესი, რაც საჭიროა ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვისთვის. ასევე არსებობს ნაშრომის წინასწარი დაცვის პრაქტიკა და წინასწარი ფილტრები საბოლოო ნაშრომის წარმოდგენამდე. შესაბამისად, საბოლოო ნაშრომს აქვს შესაძლებლობა გაიაროს ვრცელი წინასწარი დამუშავება, რაც ზრდის მისი ხარისხობრივი გამართულობის კოეფიციენტს. ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა სტუდენტთა მიერ ამ მიდგომის საჭიროება და ეფექტურობა. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ არსებობს თანახელმძღვანლის პრაქტიკაც და საერთაშორისო თანახელმძღვანლის გამოცდილებაც. სტუდენტებს ეტყობოდათ კმაყოფილების მაღალი დონე სადოქტორო საფეხურზე აკადემიური პერსონალის მიერ მათ მიმართ გამოხატული ყურადღებისა და მხარდაჭერითი მიდგომებისდა გამო.

დოქტორანტს შესაძლებელია ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვა ქვეყნის უნივერსიტეტიდან ან კვლევითი ინსტიტუციიდან. პროგრამაში ჩართული პესონალის, რომლებიც ძირითადად მოიაზრებიან დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებად, კვალიფიკაცია დასტურდება მათი პროფესიული ავტობიოგრაფიებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტების ხელმძღვანელების CV-ები **(დანართი 3);**
- დოქტორანტების ხელმძღვანელების პუბლიკაციები **(დანართი 3**);
- სადოქტორო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის CV-ები და პუბლიკაციები (დანართი 3);
- დოქტორანტების პუბლიკაციები **(დანართი 18.1);**
- თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი **(დანართი 15);**
- ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება **(დანართი 15):** https://bit.ly/38m7iI9

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საზოგადოებრივი გეოგრაფიის" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 21 აკადემიური პერსონალი (მათ შორის 10 პროფესორი და 11 ასოცირებული პროფესორი). ყველა მათგანი აფილირებულნი არიან თსუ-სთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ამასთან, სასწავლო პროცესში ჩართულია 3 მოწვეული პერსონალი.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და ფლობენ სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ უნარებს და კომპეტენციებს, რაც დასტურდება ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით. ისინი პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და თსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, ტურიზმისა და რეკრეაციული გეოგრაფიის სფეროს მკვლევარია. 1997 წლიდან თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე კითხულობს სასწავლო კურსებს. მას გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი პუბლიკაცია და აქტიურად მონაწილებს საერთაშორისო კონფერენციებში და პროექტებში. 2016 წლიდან კი ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამას, ასევე არჩეულია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად და ქართველ გეოგრაფთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვა დამყარებულია თსუ-ს მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციების შესაბამისად. თსუ-ში ასევე მოქმედებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ჯგუფის მიერ დისტანციურად გამართული და ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვადასტურებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელებისა და მასში ჩართული აკადემიური პერსონალის CV-ები **(დანართი 3, დანართი 4);**
- თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და ფაკულტეტის სტრუქტურა **(დანართი 15):** https://bit.ly/3m23MdT და https://bit.ly/3CQwTqm ;
- „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს დადგენილება №118/2014, 22 დეკემბერი –https://tsu.ge/ka/legalakad/39797;
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №81/2018, 26 თებერვალი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ: https://www.tsu.ge/ka/legalakad/15994 ;
- თსუ-ს აკადმიური საბჭოს დადგენილება №113/2018, 30 აპრილი, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი,

ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ: https://www.tsu.ge/ka/legalakad/16028;

- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები **(დანართი 3).**

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი შესაბამისი კითხვარების მეშვეობით.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული პერიოდული მონიტორინგის და სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით.

პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თსუ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. აკადემიური პერსონალი, პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით, მონაწილეობს მსოფლიოს მაღალრეიტინგული უნივერსიტეტების გაცვლით პროექტებში, რომლის ფარგლებშიც ატარებენ საჯარო ლექციებს და ახორციელებენ სამეცნიერო კვლევით საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან ერთად. 2017 წლის 8 დეკემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე – "Web of Science (WoS)". აღნიშნულ პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია თსუ-ს ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან. "Web of Science" პლატფორმის გარდა, წვდომა ჩართულია Journal Citation Report-ზე, საიდანაც შესაძლებელია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ჩამონათვალის ნახვა. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს ბაზებთან Google Scholar, Web of Science, Scopus.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის რიგ აქტივობებს. პედაგოგებისთვის შექმნილია ელექტრონული სწავლების სახელმძღვანელო, ასევე მომზადებულია ონლაინ სასწავლო პლატფორმების (LMS, ZOOM, Moodle) ოპერირებისა და მართვის ტექსტური და ვიდეო-ტუტორიალთა სერია, რაც ხელს უწყობს პედაგოგებს სასწავლო პროცესის დროულ და ეფექტურ განხორციელებაში. ამასთან, ფაკულტეტზე მოქმედებს სახელმძღვანელოების კონკურსი, რაც გულისხმობს სასწავლო კურსებისთვის სახელმძღვანელოების შექმნას ან განახლებას. ასევე აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე არსებობს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების მექანიზმი, რაც გულისხმობს პროექტის განხორციელებას აკადემიური, მოწვეული და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების ჩართულობით. ფაკულტეტის ორგანიზებით იმართება ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა".

ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ თსუ-ს ადმინისტრაციის და ფაკულტეტის მიერ ფინანსდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინებები უცხოეთში, რაც განაპირობებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა **(დანართი 18);**
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის CV და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები **(დანართი 3);**
- თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები: https://bit.ly/3jqEsfZ ;
- პერსონალის პროფესიული განვითარება (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები 2018. **(დანართი 16);**
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვებ-გვერდი **(დანართი 16),** https://bit.ly/36DW1Cj .

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დამსაქმებლების რჩევების მეტად გათვალისწინება პროგრამის

ფუნქციონირებაშიж

- სასურველია დოქტორანტებს ჰყავდეთ თანახელმძღვანელი შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალიდან.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორიული ბაზა და შესაბამისი პროფესიული პროგრამები. ასევე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სასწავლო აუდიტორიები და საფაკულტეტო მულტიმედიაცენტრი.

სტუდენტებისთვის სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, სადაც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. ამასთან, სასწავლო კურსის მასალები ასევე ატვირთულია e-learning.tsu.ge-ზე და Moodle-ის სასწავლო პლატფორმაზე.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და

ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა.

უნივერსიტეტში არსებული ბიბლიოთეკა სტუდენტებს სათანადო მხარდაჭერას უწევს. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას შემთხვევითი შერჩევის პრონციპით გადამოწმდა რამოდენიმე სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკის ვებგვერდი არის იოლი მოსახმარი და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის. სასურველია სტუდენტების ცნობიერების ამაღლება არსებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების არსებობასთან დაკავშირებით. სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზებზე მეტი ინფორმაციის მიწოდება.

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში განვითარებული პანდემიის ფონზე, როდესაც შეიზღუდა საუდიტორიო მუშაობა, უნივერსიტეტი ეფექტურად გადავიდა ონლაინ დისტანციური სწავლების რეჟიმზე. ამისთვის უნივერსიტეტი იყენებს ZOOM-ის პლატფორმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ს ვებ-გვერდი: https://www.tsu.ge ;
- ფაკულტეტის ბაზაზე არსებული ინვენტარის ჩამონათვალი **(დანართი 18.3);**
- ფაკულტეტის ელექტრონული რესურსები: https://bit.ly/3mLMQJc .

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ამაღლდეს სტუდენტების ცნობიერება არსებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების არსებობასთან დაკავშირებით. სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზებზე მეტი ინფორმაციის მიწოდება.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მოყვანილი პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რაც თავის მხრივ თსუ-ს ბიუჯეტის ნაწილს წარმოადგენს.

ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები შრომის ანაზღაურებისთვის, სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები და სტუდენტური სწავლის დაფინანსების, გაცვლითი პროგრამების, პრაქტიკის, ექსპედიციის და სხვადასხვა კულტურულ სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დანარჩენი ხარჯები, როგორიცაა უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კომუნალური ხარჯების დაფარვა, დაზღვევა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფა, გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია და განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ს და ფაკულტეტის ბიუჯეტი, რომელიც ღიად ხელმისაწვდომია თსუ-ს ვებ-გვერდზე: www.tsu.ge ;
- პროგრამის ბიუჯეტი **(დანართი 14).**

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს თსუ-ში კოორდინირებას უწევს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის ძირითადი სფეროებია: უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სრულყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავება; ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება; სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის

ხელშეწყობა; საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“ ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: პროგრამის შემუშავება და დამტკიცება; სასწავლო გეგმის მიხედვით განხორციელება; მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება.

თსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/განახლების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:: პროგრამის პირველად სამუშაო ვერსიას შეიმუშავებს შესაბამისი მიმართულების/დარგის/ქვედარგის აკადემიური პერსონალი. აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი. აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა კომიტეტს. კომიტეტის თითოეული სხდომის ოქმი ინახება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიურ პერსონალთან შეჯერებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს წარდგენილი პროგრამის შესაბამისობის დადგენას უმაღლესი საგანამანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებთან.

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები არ შეესაბამება მოთხოვნებს, ისინი გადასამუშავებლად უკან უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელს. მას შემდეგ, რაც პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის შეფასებას.

სადოქტორო პროგრამის შეფასება ხორციელდება თსუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების მიხედვით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დარგობრივი კომიტეტების, დამსაქმებლების და სტუდენტების მიერ.

შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული ფორმებისა და კრიტერიუმების მიხედვით. პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე.

სტუდენტები, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაზე სწავლობენ, ახდენენ იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას, რომლებიც მათ უკითხავენ სასწავლო კურსებს. შეფასება ხორციელდება კითხვარების და/ან ფოკუს-ჯგუფების საშუალებით.

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემატურად მუშაობს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენისა და ანალიზის მიმართულებით.

პერიოდულად ტარდება დამსაქმებელთა მოთხოვნების საჭიროებების დადგენა, როგორც მათი გამოკითხვის, ასევე პროგრამის ხელმძღვანელის/პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის/ადმინისტრაციის კომუნიკაციით.

პროგრამის შეფასების შედეგად ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

სადოქტორო პროგრამის შეფასების ინდიკატორებთან დაკავშირებულ ინფორმაციას აგროვებენ უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველმყოფის სამსახურები.

აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის სათანადო დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება ხორციელდება პერიოდული ტრეინინგებისა თუ

ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით.

სასწავლო კურსების შესაფასებლად თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულია სტუდენტური გამოკითხვები, 2014 წლის ინავრიდან, ყოველ სემესტრულად ელექტრონულად ტარდებოდა სტუდენტთა სასწავლო ბაზაში sms.tsu.ge, ხოლო 2018 წლიდან – lms.tsu.ge ბაზაში. ამ გამოკითხვის შედეგები, სტუდენტებისგან მიღებული უკუგება, ეგზავნება საგნის ლექტორებსა და მიმართულების ხელმძღვანელებს.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმებს, იგი ეფუძნება ხარისხის დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგის და გაუმჯობესების შესაბამისი პრინციპების უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს.

წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლების, სტუდენტების, პროფესორების) მაღალი ჩართულობით, პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭირო მიმდინარე პროცესების ანალიზისა და მასზე მორგებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებით.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, შემუშავდა და განისაზღვრა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები, დადგინდა შეფასების შედეგების ანალიზისა და წახალისების მექანიზმები.

შეხვედრებისას ინტერვიუებში იკვეთება, რომ სადოქტორო - საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2020 **(დანართი 8);**
- თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, დადგენილება N113/2017 **(დანართი 4);**
- ფაკულტეტის დებულება **(დანართი 4);**
- lms.tsu.ge -ზე განთავსებული **(დანართი 17);**
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებს სადოქტორო პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით.

გარე შეფასების პროცესში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის უმთავრეს საზომს წარმოადგენს აკრედიტაციის პროცესი.

ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან.

პროგრამის განხორციელების პროცესში, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები უკუკავშირს იძლევიან პროგრამის ძლიერ მხარეებთან და საჭიროებებთან დაკავშირებით, რომლის შედეგად შესაბამისი ცვლილებები ხორციელდება საგანმანათლებლო კურსების, გამოყენებული სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემებისა და ა.შ. კუთხით.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა: კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა, განიხილავს მათ და მიღებულ რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის განვი-თარების მიზნით.

გარე შეფასების მიზნით, წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა გადაეგზავნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტს.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის საზოგადოებრივი და გეოგრაფიის მიმართულების პროფესორის, მერაბ ფუტკარაძის დასკვნის მიხედვით,"წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფს დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და კომპეტეციის მქონე მკლევარის მომზადებას, რომელსაც შეუძლია ახალი ცოდნის შექმნის მიზნითა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, დაგეგმოს და განახორციელოს საველე კვლევითი სამუშაოები; ეფექტურად წარადგინოს კვლევის შედეგები დარგის სპეციალისტთან, სტუდენტებთან და ფართო საზოგადოებასთან; საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო პრობლემატიკის გადაჭრასა და საზოგადოებრივი გეოგრაფიის მეცნიერების დარგის განვითარებაში".

აღსანიშნავია, რომ დასკვნას არ ახლავს არც რეკომენდაცია და არც რჩევა, რაც პროგრამის

ძლიერი მხარეა.

ასევე პროგრამა გადაეგზავნა პოტენციურ დამსაქმებლებს, რომლებთანაც ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი. მათი შეთავაზებები და წინადადებები ასახულია პროგრამის სტრუქტურაში.

მაგალითად, დამსაქმებლების რეკომენდაციით, კურსდამთავრებულის პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების კუთხით, პროგრამის სასწავლო კურსებში გაძლიერდა კვლევითი უნარები, აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურაში არის კვლევითი პროექტი 1, კველევითი პროექტი 2, კვლევითი პროექტი 3.

აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუებით.

გარე შეფასების მექანიზმებს შორის ასევე გამოყენებულია კურსდამთავრებულების უკუკავშირი.

კურსდამთავრებულებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციები ასევე აისახა პროგრამაში.

რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, დადგენილება №113/2017 **(დანართი 4);**
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი **(დანართი 15);**
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2020 **(დანართი 8);**
- დარგის ექსპერტის მიერ პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება;
- დამსაქმებლების ფოკუსჯგუფის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანგარიშები;
- ინტერვიუს/ შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამას გარე შემფასებლად ქართველ შემფასებელთან ერთად ყავდეს ასევე უცხოელი ექსპერტი, მით უფრო რომ უსდ-ს გააჩნია საინტერესო კონტაქტები და ურთიერთოებები ევროპის და აშშ-ს უნივერსიტეტებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, პერიოდულად ტარდება სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან. პერიოდულად ტარდება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, პერსონალის, დამსაქმებლის და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასების მიზნით. პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით ხორციელდება გამოკითხვის შედეგების ანალიზი. პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით: აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში გადამუშავდა/განახლდა საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; განხორციელდა პროგრამაში შესული ცვლილებების, ახალი და გადამუშავებული სილაბუსების შეფასება, ცვლილებების შესახებ მასალის მომზადება ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოზე წარსადგენად; მოეწყო აკრედიტაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამის ონლაინ განხილვები პროფესორთა/პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით; გაანალიზდა აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის შესავსებად მიღებული ინფორმაცია, შესაბამისი მასალები და მტკიცებულებები; პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პროგრამაში ჩართული პროფესორები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს პროგრამის სხვადასხვა ასპექტის და დოქტორანტების პროგრესის განსახილველად. ამგვარი შეხვედრების საფუძველზე გაჩნდა დოქტორანტებთან ერთობლივი დისკუსიების ორგანიზების ინიციატივა. საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასებას ახორციელებს: პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მოწვეული გარე ექსპერტი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები, პროგრამის დოქტორანტები. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებებით. პროგრამის განვითრებისათვის მნიშვნელოვანია ასევე წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის დადარება უცხოურ უნივერსიტეტებთან. დოკუმენტაციიათა და გასაუბრებებით ჩანს, რომ წარმოდგენილი პროგრამა დაედარა სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის (ესპანეთი) პროგრამას, რომელიც მის სტრუქტურულ ერთეულთან, ტურიზმის კვლევის ცენტრთან ერთად ახორციელებს თსუ-ს საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების მსგავს პროგრამას: https://www.usc.gal/en/department/geography https://www.usc.gal/en/department/geography/teaching/branches-knowledge/human-geography-161 https://www.usc.gal/gl/institutos/cetur/index.html მნიშვნელოვანი, იმის აღნიშვნაც, რომ პროგრამის განხორცილების პროცესში ფაკულტეტზე გამოცხადებული საგრანტო შიდა გრანტების ფარგლებში გამარჯვებული პროექტებისას განხორციელებული კვლევის შედეგები შემდეგ აისახება მაღალი სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო პუბლიკაციებში. რაც ძალზედ მნიშვნელოვანია პროგრამის დინამიური

განვითრების პროცესისათვის. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციის მხრიდან პროფესორ-მასწავლებლებისათვის კვლევის ხელშეწყობის მიზნით მაღალ სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების დაბეჭდვისას ხდება მათი წახალისება და ფულადი ჯილდოს გაცემა, აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №16/2020 **(დანართი 8);** • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება **(დანართი 4);** • კომიტეტი **(დანართი 2);** • გარე შეფასება; • ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • ინსტიტუციური განვითარების კვლევითი საგრანტო პროგრამების არსებობა, რომლის პრიორიტეტებად განსაზღვრულია კვლევა, • ადმინისტრაციის მხრიდან პროფესორ-მასწავლებლებისათვის კვლევის ხელშეწყობის მიზნით მაღალ სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების დაბეჭდვის წახალისება და ფულადი ჯილდოს გაცემა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამა "საზოგადოებრივი გეოგრაფია", დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნოდარ ფოფორაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:

თათია დოღონაძე

შორენა წიკლაური

ირმა ქურდაძე

ვლადიმერ ბერაია